# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 271. | ხუთშაბათი, 18 ნოემბერი 1904 წ. | გაზეთის № 2671.

## ლოტბარი და მაწანწალა

კომედია ერთ მოქმედებად, გრიგოლ გესი.

(შემდეგი*)

**გელიკ.** მერე როგორ ჩავარდი ამ მდგომარეობაში?

**ბეზიმ.** გძელი ამბავია...

**გელიკ.** არა უშავს რა... დრო ბევრი გვაქვს, მიამბე.

**ბეზიმ.** (ღუდს დალევს. პაუზა). თვრამეტის წლისა ვიყავი, როდესაც პირველად გავშორდი მშობლებსა და სოფლიდან წაველი ქარხნებში სამუშაოდ. ბუნებით ჰკვიანის და წყნარის ხასიათისა ვიყავი... წერა-კითხვა ვიცოდი... ცოტა ანგარიშიც... ქარხნიდან გადაველი ერთ დუქანში ნოქრად... ჩავიცვი პიჯაკი, გალსტუკიც გავიკეთე... ჯამაგირს რიგიანს მაძლევდნენ და თავისუფლებაც საკმაოდ მქონდა—დავკეტავდით დუქანს და მეორე დილამდის ვქეიფობდით... ხომ იცით, ქალაქში მცხოვრებ კაცს არ შეუძლიან, თუ გოგოები არ გაიჩინა, და მეც დავიწყე არშიყობა, და იქამდის მივედი, რომ მოხუცი მშობლები სრულიად დამავიწყდა... ავიღებდი ჯამაგირს თუ არა, მეორე დღეს ერთი გროშიც აღარ იყო... ჩავიჭერ ვალებში... ვხედავ, საქმე ცუდად არის... მეტი მოვინდომე... ვიფიქრე—ეგ რა სასწაულია, ყველა ჩემი ამხანაგი ჩემოდენა ჯამაგირს იღებს და ჩემზე უკეთ კი სცხოვრობს... ვინც 20 იღებს—60 მანეთს ხარჯავს, ვინც 30-40—100 მანეთს... საიდან აქვთ, მეთქი?—ბოლოს მივხვდი—თურმე ქურდობდნენ!.. მეც მივყავ ხელი ქურდობას... მე ვისწავლე ყველა ეშმაკობა, მაგრამ... გამიგეს!.. ეჰ, ჩემო ძმავ... ერთიც დამალევინე! (დალევს) მე ერთი მეგობარი მყავდა—ერემეი მანდალოვი, გამხდარი, მაღალი, წვრილი, პირისახე მოკუმშული, ერთის სიტყვით საზიზღარი შესახედაობისა. მაგრამ ამასთან ისეთი ბედი ჰქონდა ქალებში, რომ ყველანი იმას შევნატროდით... საკვირველი ის იყო, რომ ამ ჯოჯოს, მახინჯს და საშიშარ კაცს ქალები ზედ ეკვროდნენ... რითი ხიბლავდა ეგრე, ეშმაკმა იცის... ერთ ახალგაზდა ქალს, სახელად ეფემიას, ჩვენს მაღაზიაში საყელოები მოჰქონდა ხოლმე და ჰყიდდა... რაღაც ეშმაკად დავუწყე არშიყობა... შეხედულებით მაინცა-და-მაინც კარგისა არ იყო; არც ფერი, არც ხორცი, არც სილამაზე, ჭკუაზედაც ცოტა თხლად იყო, მაგრამ იმით ამაგულიანა, რომ ვიცოდი—პატიოსანი იყო... დღეს, ხვალ, ამ თვეში, იმ თვეში—ვერაფერს გავხდი!.. ერთ დღეს ერემეის ვუამბე, ეგრეა საქმე მეთქი: დაიწყო სიცილი... და მეუბნება: „გინდა—ხვალვე ჩემი გახდებაო!“... მე გავგიჟდი... თავის დღეში ვერ ეღირსები-მეთქი... გინდა დავნაძლევდეთო? მოდის—მეთქი!.. დავკარით ხელი თორმეტ ბოთლ ლუდზე. საღამოზედ მივედი ერემეისთან და ტანისამოსის განჯინაში დავიმალე... გავიხედე, ეფემია მოვიდა... რა ჯადოთი ან რა თილისმით მოიყვანა იმ წყეულმა,—თუნდა მომკალი, არ ვიცი... ვხედავ—ქალი სულ ერთიანად ცახცახებს, ხმას ვერ იღებს... ის-კი ეხვევა, ჰკოცნის და თან იცინის... ბოლოს გაუღო კარები და გაუშვა გარედ... მე გამოვედი განჯინიდან არც მკვდარი, არც ცოცხალი... ერემეი-კი ხარხარებს, სიცილისაგან გული ძისდის... „მხოლოდ შენი პატივისცემისათვის ჩავიდინე ეგ, რომ მაგისთანა გამხმარი ჯოჯო გავაპატიოსნეო“... ამის გაგონებაზე სისხლი თავში ამივარდა, ონება დავკარგე და მივვარდი... ესეც ჩემი წაგებული ნაძლევი მიირთვი თორმეტივე-მეთქი... იმდენი ვცემე, რომ უგრძნობლად, გალურჯებული ძირს დავარდა. მე-კი ფანჯარაში გადავხტი...

**მელიკ.** (აღელვებული) მოჰკალი?

**ბეზი.** განა იმოდენა კაცს ეგრე ადვილად მოჰკლავ? გული მოუბრუნდა... მეორე დილას მაღაზიაში შევხვდით. ფერი წასვლოდა... თვალებში ვეღარ მიცქეროდა... დალურჯებულებზე წამალი წაესო, თმა დავარცხნილი ჰქონდა; ერთის სიტყვით—ყველაფერი როგორც წესია... გავიდა ერთი დღე, მეორე... ერთხელ მაღაზიის პატრონმა დამიძახა... მივედი,

### დამაარსებელნი სამუსიკო სკოლის ტფილისში



მ. ალიხანოვი.



მიზანდარი.



სავანელი.

*) იხ. „დამატება“ № 270, 1904 წ.

ვხედავ, დაზგასთან ერემეი დგას და ხელში ალაბს ათამაშებს... გვიან იყო, მაღაზიას ვკეტავდით... გულმა რაღაც ტოკვა



ახალი საკუთარი შენობა სამუსიკო საზოგადოების ტფილისში.

დამიწყო... „რამდენი დარჩა ინგლისური მაუდი №18“, — მკითხა მაღაზიის პატრონმა. — ოცი ალაბი-მეთქი... „ერემეი გაზომე!“ გაზომა — „14 და ნახევარი ლა დარჩენილა“-ო... დანარჩენები დათვალეს, გაზომეს... იქ დააკლდა, იქ მეტი აღმოჩნდა... ერთი სიტყვით — გავები... ამოიღო მაღაზიის პატრონმა ოცდა ხუთიანი და ერემეის აძლევს... „შენთვის მიჩუქნია, შენის პატიოსნებისა და ერთგულებისათვის“-ო... და მე კი — ოქმი, ციხე, სასამართლო .. სამი თვე ვიჯექ... გამოველ ციხიდან, დავიწყე ალაგის ძებნა, მაგრამ საცა მიველი, ყველგან უარით გამომისტუმრეს. იმიტომ, რომ ჩემი კარგი კაცობა პასპორტში მეწერა... ჯერ კი ისევ ციხეში ვიჯექ, როცა ერემეიზე შურის ძიების სურვილი არ მასვენებდა... მაგრამ, როცა ციხიდან გამოველ და საცა ალაგი ვსთხოვე, ყველგან უარით გამომისტუმრეს და შიმშილ-წყურვილით გული მიმდიოდა — მაშინ-კი სულ ; გავგიჟდი და ჩემი ფიქრი მხოლოდ ის იყო, როგორმე ერემეი მომეკლა... ეს ფიქრი გონებიდან არა მშორდებოდა, არ მასვენებდა... გაზაფხულიც მოახლოვდა... წარმოიდგინეთ, ეფემია არც მომწონდა, არც მიყვარდა — არ̈ რა ჰქონდა მოსაწონი და შესაყვარებელი, მაგრამ მაინც იმისი ხსოვნა გულიდან ვერ ამოვიგლიჯე... მუდამ ის მაგონდებოდა... თვალწინ მედგა შეგინებული, ნამუსახდილი, გთახსირებული... და ვგრძნობდი, რომ ყველა ეს ჩემის მიზეზით მოხდა... სინიდისი მქენჯნიდა, მტანჯავდა... დრო მიდიოდა და იმისი სიყვარული თუ სიბრალული — მე ეს არ ვიცი — უფრო ღრმად მებექდებოდა გულში... თითქმის მშობლებზე უფრო მახლობლად მიმაჩნდა... სცხოვრობდა ცოტა ქალაქზე მოშორებით, ერთ სარდაფში დედასთან ერთად... მეც ვიხელთე დრო ერთ საღამოს და შევიპარე სახლში... ვხედავ — შინ არიან... მოხუცს ძონძებში სძინავს, ეფემია-კი საყელოებს ჰკერავს... მაგრამ პირველ შეხედვაზე ვერ ვიცანი: გამხდარი, გაყვითლებული, თვალებჩაცვივნული... ბოლმა მომაწვა, ცოტაც კიდევ ❦ ცრემლი მომერეოდა... მაგრამ, იმ წუთშივე მომაგონდა ჩემი თავი: უსახლკარო, წყალ-წაღებული, ულუკმა-პურო, შიშველ-ტიტველი... სისხლი თავში ამივარდა, დამავიწყდა სიბრალული, დანაშაული



კლასი სამუსიკო საზოგადოების ახალ სახლში

და გამოვუტყდი: მეც ხომ თქვენის მიზეზით დავიღუპე... მე განჯინაში ვიჯექ, როცა თქვენ ერემეისთან მოხვედით... ნაძლევი გვქონდა თორმეტი ბოთლი ლუდი — შეგაცდენდა თუ არა...

ეს რომ გაიგონა, ათრთოლდა, აცახცახდა და დაიყვირა: „გასწი, გასწი, გამეცალე აქედანაო“... მიიფარა პირზე ხელები და მოჰყვა ტირილს... მე გამეხარდა... იმის ცრემლებით მე თითქოს გულიდან მეშვებოდა... ეხლა რალა გატირებს-მეთქი.. წარსულს ველარ დაიბრუნებ... იქნებ გეგონათ, ერემეი თქვენის სილამაზით მოხიბლეთ? აჰ... აჰ!.. განა სარკეში არ ჩაგიხედნიათ?.. მაგრამ, იქნება, სიღარიბის გამო ერთი სარკეც ვერ გიყიდნიათ? ჩემთვის გეთქვათ, მე გაჩუქებდით... იქნება მაშინ მაინც დაგეცოთ თქვენი პატიოსნება მეთქი!.. ხმა არ გამცა... ტიროდა... მეც არ მოვეშვი და ვცდილობდი ჩემი გესლიანი სიტყვები თითო-თითოდ ჩამეწვეთებინა ყურში... თავი ასწია, პირიდან ქაფი მოსდიოდა... თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა... „ის სატანა, ტარტაროზი, ულმერთო!..“ დაიყვირა... იცემდა თავში, თმებს იგლეჯდა... თავს რათ იკლავ მეთქი? რა დიდი საუნჯე შენ დაგიკარგავს— მაშინაც საყელოებს ჰკერავდი და ეხლაც!.. მე კი თქვენი მიზეზით ყველაფერი დავკარგე და ეხლა ხომ ჰხედავ, რა



საკონცერტო დარბაზი სამუსიკო საზოგადოებისა

ვარ მეთ ი?!—ცოლად შერთვას დამპირდა ის ულმერთო... მე გამეცინა...—შენი შერთვა მეთქი? დიდხანს ველაპარაკე ეგრე, სანამ გულ შეწუხებული ძირს არ დავარდა... როცა მობრუნდა, მე განვაგრძე: ჩვენ ორივენი იმის მიზეზით დავიღუპენით—მაშ ჩვენ ორივემ უნდა შური ვიძიოთ მეთქი... თუ გინდა, იმას მე გავუსწორდები და შენ-კი დამეხმარე... მაგრამ როგორმე დაფარულად უნდა მოვახერხოთ, იმიტომ რომ მაგისთანა ჰარამზადისთვის ციმბირში წასვლა სირცხვილიც არის მეთქი... ეს რომ გაიგონა, ადგა და მეუბნება: „მომშორდი, მომშორდი, სატანა, ნუ მაცდენ... მაგ საქმეში არ გავერევიო...“ რა არ ველაპარაკე, როგორ არ ვურჩიე, არ იქნა, ვერ დავიყოლიე... მაშ, რახან აგრეა, მე თითონ გადაუხდი სამაგიეროს და თუ შენ გაგიცივარ, ვაი შენი ბრალი, შენ იგივე დღე დაგადგება მეთქი! გამოვბრუნდი, მოვდივარ... თურმე კარებთან კატა წევს, კუდზე ფეხი დავადგი... ღმერთმა დასწყევლოს იმათი თავი!.. ეჰ, ბედია, რაღა!..

**გელიკ.** მერე, მერე? (პაუზა)



გენერალი ნოგი პორტ-არტურის წინ.



ადმირალი როჟესტვენსკი ტანჟერში. გემიდან ჩამოდის.

**ბეჩიმ.** ბზობა დღე იყო. ავდექი დილით, შევევედრე ღმერთს და გამოველ სახლიდან... მზე თავის სხივებს

სტყორცნიდა დედამიწას... ჰაერი იდგა მსუბუქი, მაცოცხლებელი... ყოველი ძარღვი მითამაშებდა... ყველანი მორთულმოკაზმულნი, მხიარულნი სიცილ-კისკასით მიდი-მოდიოდნენ, ვინ სასეირნოდ, ვინ საქმეზედ და ვინ ეკკლესიაში. ხელახლად გულში შური ამეძრა... რა ვარ მე, რის მაქნისი? რა მქვიან?! ერემეის თავისი ადგილი აქვს, განცხრომით სცხოვრობს, მხიარულობს, იცინის და მე-კი... მკვდარი არა ვარ, არც ცოცხლებში ურევივარ... ნუ თუ ის საზიზღარი ეგრე დაუსჯელად უნდა გადარჩეს? რატომ დედამიწა არ გასკდება და თან არ ჩაიტანს? მე ხომ ვიცი ყველა მისგან ჩადენილი სისაძაგლე... ხომ ვიცი, რომ ყველა იმის საქმეებისათვის ჩამოხრჩობაც-კი ცოტაა... ვინ იცის, იქნება მე ღვთისაგან ვიყო მოგზავნილი იმის დასასჯელად... რამდენი დაღუპა, რამდენს ნამუსი აჰხადა?!. დიახ, ყველას მაგივრად მე უნდა გადავუხადო—ეგ ღვთის ნებაა-მეთქი... აქ ეშმაკი კი არა, თვით ღმერთი მგზავნის შურის მაძიებლად და ღმერთიც დამიფარავს პასუხის გებისაგან... გავსწიე ერემეის სახლისაკენ... გზაზე ეკკლესიაში შევიარე, ვიყიდე სანთელი და ნიკოლოოზ სასწაულ მომქმედს დავუნთე... მივირბინე დერეფანში—არავინ არის. მივვარდი კარებს—დაკეტილია... ავიღე სანთლით გასაღების ზომა, წაველ ზეინკალთან და გასაღები ვიყიდე... ვიცი—ერეშია ღამის 11 საათამდე არ მოვა, მეც ამ დრომდე გავისეირნე... და 11 საათზე მიველი. გავძვერ კარებამდე—არავინ არის... გავაღე, შეველი ოთახში და კარები ჩავიკეტე... ავანთე სანთელი, დავათვალიერე, ყველაფერი ჩვეულებრივად არის: სარკის წინ პუდრი, ოდეკალონი. ყველაფერი დალაგებულია, სუფთად გაშლილი ლოგინი და ზედაც, როგორც გასათხოვარ ქალს, აბრეშუმის ქსოვილი გადაფარებული... გავაღე გარდერობი, სხვა და სხვა ტანისამოსით სავსეა: პიჯაკები, სმოკინა, ძირსაც სამნაირი ფეხსაცმელი, ყველაფერი რიგზეა... გავაქრე სანთელი და განჯინაში დავიმალე... ვიჯექ ოთხი საათი. ბოლოს ფეხის ხმა გავიგონე... იწკრიალა კლიტემ, გაიღო კარები და შემოვიდა... ქშინავდა... ეტყობოდა დაღლია... გაიარ-გამოიარა ოთახში, დაამთქნარა და დაიწყო ტანთ გახდა... საყელო გაიხსნა... ვიფიქრე: ეგ საყელოები ხომ ეფემიას ნაკეთებია. გაიარა, დაეჯახა სკამს და ერთიც შეიგინა. ბოლოს მოვიდა და განჯინის კარი გააღო... ამას კი არ მოველოდი... მე ვიფიქრე—დაიძინებს და მერე გამოვალ მეთქი... დამინახა თუ არა, თვალები დააჭყიტა, ხელები გაუშეშდა და მუხლები ჩაეკეცა... პირი გააღო, მაგრამ დაყვირება კი ვერ მოახერხა... ერთბაშად გამოვარდი განჯინიდან და ვეცი კისერში, დავეცი კრაოტზე და ყანყრატო სულ ერთიანად დაუმსხვრიე... ყანყრატო მაინც ისეთი ჰქონდა, როგორც ბავშვს... ხხრრ... ხხრრ... სულ ეგრე ხრიჭინებდა... ენა სულ გადმოუვარდა... მერე რამოდენა!.. ან სად ეტეოდა იმ სიგძე ენა?!. დიდ ხანს ვახრჩობდი... კიდევ და თავს სულ მოვგლეჯდი, ხელი სულ მომეკუმშა და შიგ-კი არც ეხლა ვიცი, რა იყო: ხორცი თუ ძარღვები... გავუშვი ხელი, დავხედე და შემეშინდა—თვალები ძალზე გადმოსცვივნოდა... ფეხები აქეთ-იქით გადაეგდო, ხელის ფრჩხილებით მკლავში ჩამჭიდებოდა—ძლივს მოვიშორე... ავიღე იმისი აბრეშუმის საფენი, გადავაფარე, მიმოვიხედე, ყური დავუგდე—სიჩუმე იყო, ყველაფერი წინანდებურად იყო... აქ კი შიშმა ამიტანა, დავჯექ სკამზე, ვცახცახებდი, როგორც ციებიანი... გავიხედე, სტოლზე საყელო... ეფემიას ნაკერი... ერთბაშად რაღაც ხმამ სკამიდან ამაგდო!.. თურმე, ის სატიალო, კატა ყოფილა... ჩავაქრე სანთელი, ჩუმად გავაღე კარები, გამოველ, მიველ სახლში, ჩავაწყვე ბარგი და გავსწიე სადგურზე...

**გელიკ.** გაიქეც?

**ბეჟიძ.** (ხელს გაიქნევს) გავიქეც, მაგრამ დიდის ხნით ვერა... ეფემიამ გამცა...

**გელიკ.** ეფემიამ?

**ბეჟაძ.** მაშ!.. დამიბარა გამომძიებელმა, მაგრამ სად იყო დასამტკიცებელი საბუთი? თავი ძალიან კარგად ვიმართლე, და, შეიძლება, სრულიადაც გავმართლებულიყავი, მაგრამ ეფემია გაახვიეს საქმეში, იმიტომ, რომ ერემეის არა ერთხელ დაეკვეხნა თურმე ხალხში, ეფემია შევაცდინეო... ერთ დღეს მე და ეფემია დაგვაყენეს პირის-პირ... დამინახა თუ არა, აცახცახდა, მუხლები მოეკვეცა, დავარდა იატაკზე და მოჰყვა ტირილს: „ეს არის, ეს არის იმისი მკვლელიო!..“ ეშმაკმა იცის ქალების თავი, რა გული აქვთ, ან რა გრძნობა?!. თავს იკლავდა ერემეისთვის... გამხმარი, მარტო ძვალი და ტყავი-ღა დარჩენილიყო... სანამ მე მათრევდნენ სხვა და სხვა საპყრობილეებსა და ქალაქებში, საქმის გადაწყვეტამდე ეფემია ჭლექისაგან საპყრობილეში ჩალპა...

გ. შალიკაშვილი

(დასასრული იქნება)

## სხვა და სხვა ამბები

**სახალხო სამხატვრო მუზეები.** ფრანკფურტში ეხლახან დაარსეს სახალხო მუზეი. ყოველ-დღე აუარებელი მუშა ხალხი დაიარება ამ მუზეიში და ათვალიერებს სურათებს. მუზეი საღამოობით არის ღია. საღამო ხანი განგებ ამოარჩიეს, რომ იარონ მუშებმა, რომელნიც დღისით ვერ იცლიან. სცდილობდნენ ისე მოეწყოთ ეს მუზეი, როგორც ინგლისის, განსაკუთრებით მანჩესტერის, მუზეებია. მანჩესტერში სახალხო მუზეი მუშათა უბნის შიგ შუაგულშია. მუზეიში შეკრებილია ხელოვნებისა. მხატვრობის და ქანდაკების საუკეთესო ნაწარმოებთა ასლები. მუზეი ღიაა ნაშუადღევს 2-დან 5 საათამდე (მუშათა სადილის დრო) და საღამოს 7-დან 9 საათამდე (დრო, როდესაც მუშაობასათავებენ). ამ მუზეიში არიან ლექტორები, რომელნიც დამსწრეთ უხსნიან სურათებს, უკითხავენ ლექციას და ამ რიგად თან-და-თან ხელოვნების პოპულიარაზაციას სწევენ. მუზეიში დადიან მუშები ოჯახობით, უფროკი ბავშვებით.



ქორწილის მე-31 დღეს.

ქალი.—ღირდა განა, როგორც ამბობენ, ერთი „თაფლის თვე“-ს გულისათვის ჯვარის წერა და ქორწილის გადახდა?!

კაცი.—ნუღა იტყვი! ოღონდაც რომ არა ღირდა!

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი